



საიამ კვლევის „საყდრისი-ყაჩაღიანი - ნგრევა კანონის სახელით“ პრეზენტაცია გამართა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2015 წლის 15 ივლისს, საზოგადოებას საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მომზადებული ახალი კვლევა- **□□□□□□□□** ყაჩაღიანი - ნგრევა კანონის სახელით **□** წარუდგინა. საიას მიერ მომზადებული კვლევის შედეგად მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები გამოიკვეთა. კერძოდ:

2014 წლის 12 დეკემბერს, ერთი დღის განმავლობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროსთან დაკავშირებით, უაღრესად საეჭვო გარემოებებში, ჯამში 17 ისეთი მოქმედება განახორციელეს და 4 ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომელთა შედეგად, 2014 წლის 13 დეკემბერს შპს **□□□□□□□□A□** მა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტი უკანონოდ ააფეთქა;

2014 წლის 12 დეკემბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით ძეგლის სტატუსის მოხსნის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით ჩაატარეს;

2014 წლის 13 დეკემბერს, **A□□□□□□□A□□□** საყდრისი #1 ყაჩაღიანის უბანზე აფეთქების განსახორციელებლად, არ გააჩნდა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა. შესაბამისად, კომპანიამ აფეთქება უკანონოდ განახორციელა;

2014 წლის 13 დეკემბრიდან მოყოლებული, სააგენტომ ვერ უზრუნველყო საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ე.წ. **□□□□□□** (აღების) **□** პერმანენტული მონიტორინგის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობის ისე დაკომპლექტება, რომ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სახეზე არ ყოფილიყო ინტერსთა კონფლიქტის ნიშნები;

2014 წლის 29-31 დეკემბერს, **აქტიური აქტი** საყდრისი-ყაჩაღიანთან კავშირში მყოფი წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის კონკრეტულ სალოკაციო ტერიტორიაზე გაგრძელების პროცესში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ფორსირებული მოქმედება აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ **აქტი** Gold **აქტი** წინასწარ ჰქონდა ლიცენზიის გაგრძელების გარანტია და 2014 წლის ბოლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იურიდიულად გაფორმდა;

საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევამ ნათლად და ცალსახად აჩვენა, რომ საეჭვო გარემოებებში, კანონმდებლობის მოთხოვნების გვერდის ავლით, შეიძლება მიღებული იყოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც, ეკონომიკური თუ სხვა ბუნდოვანი საინვესტიციო ინტერესების სახელით, საფრთხეს შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შენარჩუნებას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას.

საია მიიჩნევს, რომ 2013-2015 წლებში საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აუცილებლად უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ობიექტური გამოძიების საგანი.